საიდ. N81898/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N121-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 2015 წლის 09 სექტემბრის Nა-231 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა სს „შატო მუხრანის“ (მის:სოფელი მუხრანი, 3309, მცხეთა, საქართველო) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N121-03/15), რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 ივნისის N1024/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „CHÂTEAU MUKHRANI RÉSERVE ROYALE“ (საიდ. N81898/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 ივნისის N1024/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „CHATEAU MUKHRANI RESERVE ROYALE“ (საიდ. N81898/3) მსგავსია სს „შატო მუხრანი“ -ის (მის: ჭავჭავაძის გამზ.11), სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა - „შატო მუხრანი Château Mukhrani“ (რეგ. N18685, რეგ. თარიღი 2008/09/17). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოედგენილი ნიშნის სიტყვიერი ელემენტები ვიზუალური და ფონეტიკური თვალსაზრისით დაპირისპირებული ნიშნის მსგავსია. განცხადებულ ნიშანს აქვს სასახლის გამოსახულება, თუმცა, აღნიშნული მას არ ანიჭებს არსებით განმსახვავებელუნარიანობას, ვინაიდან, მთლიანობაში ნიშნის ძირითადი დატვირთვა, მისი მოცულობიდან გამომდინარე მოდის სიტყვიერ ნაწილზე - „CHATEAU MUKHRANI“ და შესაბამისად, იგი წარმოადგენს დომინანტ ელემენტს ნიშანში. სიტყვიერი ნაწილების მსგავსება დაპირისპირებულ ნიშნებში კი იმდენად დიდია, რომ მოხდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რეგისტრირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი არის იგივე, რაც სარეგისტრაციოდ წარმოდგენილის, კერძოდ, 33-ე კლასით გათვალისწინებული ალკოჰოლური სასმელები. შესაბამისად, ეს გარემოება აძლიერებს ნიშნებს შორის მსგავსებას, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 33-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს წარმოადგენს ერთი და იგივე კომპანია - სს „შატო მუხრანი“, რომელმაც შეიცვალა მისამართი. აღნიშნული ცვლილების ასახვის მიზნით, შეტანილ იქნა საქპატენტში განაცხადება ცვლილების განხორციელების შესახებ.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის ოფიციალურ რეესტრში 2015 წლის 17 ივლისს დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ სს „შატო მუხრანი“ (მის: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 11) შეიცვალა მისამართი შემდეგზე - სოფელი მუხრანი, 3309, მცხეთა, საქართველო. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს წარმოადგენს აპელანტი კომპამპანია - სს „შატო მუხრანი“. შესაბამისად, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნები ეკუთვნის ერთი და იგივე კომპანიას, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „შატო მუხრანის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 ივნისის N1024/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „CHÂTEAU MUKHRANI RÉSERVE ROYALE“ (საიდ. N81898/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

ს. ებრალიძე